გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 118

2020 წლის 11 სექტემბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში, სტალინის გამზირის და ქუთაისის ქუჩის გადაკვეთაზე (სტალინის გამზირზე N48-ე საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ) საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შსს-ს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსის გიორგი ნინუას 2020 წლის 19 აგვისტოს № MIA 1 20 01935790 წერილი, სადაც აღნიშნავს, რომ ქ. გორში, სტალინის გამზირის და ქუთაისის ქუჩის გადაკვეთაზე (სტალინის გამზირზე №48-ე საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ) მარჯვენა მხარეს საჭიროა დამონტაჟდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი - 3,27 „გაჩერება აკრძალულია." საგზაო უსაფთხოებიდან და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საგზაო ნიშნის განთავსება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ქ. გორში, სტალინის გამზირის და ქუთაისის ქუჩის გადაკვეთაზე (სტალინის გამზირზე №48-ე საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ) მარჯვენა მხარეს დაიდგას საგზაო ნიშანი -3.27 „გაჩერება აკრძალულია".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში, სტალინის გამზირის და ქუთაისის ქუჩის გადაკვეთაზე (სტალინის გამზირზე №48-ე საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ) მარჯვენა მხარეს დაიდგას საგზაო ნიშანი -3.27 „გაჩერება აკრძალულია".

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე